



შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესი

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესი (შემდგომში - წესი) აწესრიგებს აკადემიაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ევაკუაციის წესებს.
2. ამ წესის მიზანია:
 - ა) აკადემიის პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვა;
 - ბ) აკადემიის შენობა-ნაგებობების და ქონების დაცვა.
3. აკადემიის სასწავლო კორპუსის ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომლის დაცვაც სავალდებულოა აკადემიის ყველა თანამშრომლისა და პროფესიული სტუდენტისათვის.
4. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აკადემიის სასწავლო კორპუსში ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.
5. რაიმე საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში აკადემიაში შექმნილი სახანძრო უსაფრთხოების ჯგუფი ვალდებულია დაიცვან პირველყოფლის პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება და შემდეგ იზრუნონ საკუთარი თავის და აკადემიის ქონების დაცვაზე.
6. რაიმე საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში აკადემიის პროფესიული სტუდენტები ვალდებული არიან დაემორჩილონ აკადემიის თანამშრომლების მითითებებს რათა თავიდან იქნეს აცილებული დაზნეულობა.
7. წესები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე დოკუმენტით გაწერილია რექტორის მიერ დამტკიცებულ სამუშაო ადგილზე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების წესებში და საგანებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმაში.